აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 10

11 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი, თამაზ შარმანაშვილი, გია გარსევანიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, ავთანდილ ჩახვაძე და ირაკლი გავარამია.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი დავით რობაქიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 20 დეკემბრის №04 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე).

2. განკარგულება
არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალების ე.წ. ვიდეოთვალის განთავსების შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია).

3. დადგენილება
საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადების/საჩივრის შეტანის მისი განხილვის წესებისა და აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი).

4. განკარგულება
მონიტორინგის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია).

5. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

6. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი).

7. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მივლინების ფორმის დამტკიცების შესახებ.

(მომხ. ა. მიქელაძე).

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 20 დეკემბრის №04 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2004 წლის 20 დეკემბერის №04 დადგენილებით უსკო-ს მიერ მიღებული იქნა საოლქო საარჩევნო კომისიების რეგლამენტი, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საოლქო საარჩევნო კომისიები უკვე გაუქმებულია და საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილი ოლქები უმაღლეს საბჭოს არჩევების პერიოდში

ექვემდებარება უსკო-ს, შესაძლებელია უსკო-ს მიერ 2004 წლის 20 დეკემბერს მიღებულ №04 დადგენილების პირველ მუხლში შეტანილი იქნას ცლილებები, რის თანახმადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევების პერიოდში საარჩევნო ოლქები და უბნები იხელმძღვანელებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2005 წლის 8 აგვისტოს №7/2005 და №6/2005 დადგენილებით დამტკიცებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების რეგლამენტით. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 20 დეკემბრის №04 დადგენილებაში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიები ხელმძღვანელობენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2005 წლის 8 აგვისტოს №7/2005 დადგენილებით დამტკიცებული საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტით;

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიები ხელმძღვანელობენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2005 წლის 8 აგვისტოს №6/2005 დადგენილებით დამტკიცებული საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტით“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალების ე.წ. ვიდეოთვალის განთავსების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა ქეთევან ჯიქიამ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად კენჭისყრის დღისათვის დიდ ქალაქებში გათვალისწინებულია ვიდეოდაკვირვებისა და და ჩაწერის სხვა საშუალებების – ე. წ. ვიდეოთვალის განთავსება. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებები – ე.წ. ვიდეოთვალი განთავსდეს №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში შემავალ ყველა საარჩევნო უბნებზე არსებულ კენჭისყრის შენობებში. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ შესაძლებელია წარმოდგენილ განკარგულების პროექტში შეტანილი იქნას ცვლილება და თითოეულ საარჩევნო უბანზე ვიდეოთვალი დამონტაჟდეს ნაცვლად ერთისა ორი, რომელთაგან ერთი გააკონტროლებს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთს, ხოლო მეორე სარეგისტრაციო მაგიდას. კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ კი გადაღებული მასალა გონივრულ ვადაში გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. აგრეთვე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გია გარსევანიშვილმა, მან აღნიშნა, რომ კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ ვიდეოთვალით გადაღებული მასალის გონივრულ ვადაში შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაზე გადაცემასთან ერთად ფრჩხილებში დაემატოს ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის შენიშვნის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებები – ე. წ. ვიდეოთვალი განთავსდეს №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში შემავალ ყველა საარჩევნო უბნებზე არსებულ კენჭისყრის შენობებში (გარდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც შესაბამისი სამართლებრივი აქტით ვიდეოდაკვირვება და ჩაწერა აკრძალული ან შეზღუდულია).

2. კენჭისყრის შენობაში დამონტაჟდეს ორი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რომელთაგან ერთი გააკონტროლებს გამჭირვალე საარჩევნო ყუთში კონვერტების ჩაგდების პროცესს, ხოლო მეორე-სარეგისტრაციო მაგიდებს, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა კენჭისყრის შენობაში უნდა განლაგდეს ისე, რომ არ დაირღვეს ხმის მიცემის ფარულობა.

3. კენჭისყრის შენობაში, სადაც განთავსებული იქნება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ, ამ სისტემის მიერ გადაღებული მასალა გონივრულ ვადაში (ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე) გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც ამ მასალას საარჩევნო ოლქში კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე გადასცემს უსკოს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება

საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადების/საჩივრის შეტანის მისი განხილვის წესებისა და აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან კომისიას წარმოუდგინა საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების ინსტრუქცია, მან აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში არასწორად შედგენილი განცხადება/საჩივარი სასამართლოში რჩება განხილვის გარეშე, გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის/მომჩივანის მიერ არასწორედ არის იგი დაწერილი/შედგენილი. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება
მონიტორინგის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა ქეთევან ჯიქიამ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით უსკო-ს მიერ მიღებული იქნა განკარგულება არჩევნებისათვის გამოყოფილი სახსრების ანგარიშების მონიტორინგის მიზნით ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ. მან აღნიშნა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად მონიტორინგის ჯგუფმა შეიმუშავა და უსკო-ს წარუდგინა ჯგუფის დებულება, რაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, აუცილებელია დამტკიცებული იქნას უსკო-ს მიერ. ასევე აღნიშნა, რომ მოცემული დებულებით იხელმძღვანელებს ჯგუფი, სადაც კონკრეტულადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლის 10^1 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საარჩევნო სუბიექტების მიერ 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით

გამოყენებული სახსრების ანგარიშის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის დებულება დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად უსკ-ო განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვსის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მან აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისას აუცილებელია ამომრჩეველთა სპეციალური სიის, ამომრჩეველთა ერთიანი სიისა და ამომრჩეველთა სიის დანართის ფორმების შემუშავება/დამტკიცება - რომლებიც თავის მხრივ, იყოფა კედლის და სამაგიდო სიებად, უსკო-ს მიერ მიღებული უნდა იქნას განკარგულება და უნდა მოხდეს აღნიშნული ფორმების დამტკიცება. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) ამომრჩეველთა სპეციალური სია (სამაგიდო) (ფორმა №1-07.14.02);
ბ) ამომრჩეველთა სპეციალური სია (კედლის) (ფორმა №1-07.15.02);
გ) ამომრჩეველთა ერთიანი სია (სამაგიდო) (ფორმა №1-07.16.02);
დ) ამომრჩეველთა ერთიანი სია (კედლის) (ფორმა №1-07.17.02);
ე) ამორჩეველთა სიის დანართი (სამაგიდო) (ფორმა №1-07.18.02);
ვ) ამორჩეველთა სიის დანართი (კედლის) (ფორმა №1-07.19.02).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, შემუშავებული იქნა საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობასთან დაკავშირებით განცხადება/საჩივრის შედგენის ფორმები, რითაც ისარგებლებს ყველა პირი, ორგანო რომელიც თვლის, რომ დაირღვა ამა თუ იმ უბანში ხმის დათვლის, კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის და ა.შ. პროცედურები. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

მიღებულია განკარგულება

საქართველის ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 61-ე მუხლის. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

მუხლი 1. დამტკიცდეს საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ განცხადება/საჩივრის შედგენის ფორმები, დანართის (№1; №2; №3; №4) მიხედვით.

მუხლი 2. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 61-ე მუხლით განსაზღვრული განცხადება/საჩივრის შეტანა დასაშვებია სხვა ფორმითაც.

მუხლი3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. **განკარგულება**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მივლინების ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა რომ „აჭარის ავტონომიური ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში გახორციელებული ცვლილებების

თანახმად, უსკო-ს თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებებს და შიდაუწყებრივ საკითხებზე ბრძანებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე დღეს მოქმედი უსკო-ს მივლინების ფორმაში, რომელიც დამტკიცებულია უსკო-ს მიერ 2006 წლის 20 დეკემბრის №8 განკარგულებით, ჩაწერილია თავმჯდომარის განკარგულება და შესაბამისად თავმჯდომარის მიერ მივლინებაზე გამოიცემა განკარგულება, იქიდან გამომდინარე, რომ მივლინების საკითხი წარმოადგენს შიდაუწყებრივ საკითხს აუცილებელია უსკო-ს მიერ მოხდეს მივლინების ახალი ფორმის დამტიცება, სადაც ჩაიწერება უსკოს თავმჯდომარის ბრძანება.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომიის 2006 წლის 26 დეკემბრის № 8 განკარგულება.

2. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მივლინების ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

4. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 03 ნოემბრის არჩევებისათვის საჭიროა შეიქმნას სატენდერო კომისია, რომელმაც უნდა ჩაატაროს არჩევნებისათვის საჭირო მასალებისა და სხვადასხვა საქონელის შეძენა. ასევე აღნიშნა, რომ სატენდერო კომისია შედგება 5 წევრისგან, სადაც შეყვანილი იქნებიან უსკო-ს აპარატის თანამსრომლები, მათ შორის ერთი ეკონომიური სამსახურის უფროსი და კომისიის წევრები.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია